პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 72 (3049) 13 აპრილი, ოთხშაბათი. 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## კალათბურთის „სპექტაკლები" გრძელდება

საბჭოთა გუნდების ტურნე

სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინიშმაც ვერ დააშოშმინა კალათბურთის მოყვარულები ახლა ისინი ცნობებს ელიან ოკეანესგაღმიდან, სადაც ტურნეს ატარებენ საბჭოთა კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები.

ქალებმა თავიანთი გამოსვლა კანადის ქალაქ ვანკუვერში გამართული მატჩით დაიწყეს, სადაც გუშინწინ დაამარცხეს ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ნაკრები — 74:34. მოედანზე საუკეთესო იყო რიგელი ს. სმილძინია, რომელმაც თავის გუნდს შესძინა 13 ქულა.

კანადიდან საბჭოთა ნაკრები შეერთებულ შტატებში გაემგზავრება, სადაც ჩაატარებს 7 მატჩს, აქედან ოთხს — მასპინძელთა ნაკრებთან.

კიდევ უფრო ძნელი გამოცდა ელით ვაჟთა ნაკრების წევრებს, რომლებიც გუშინ გაფრინდნენ სანტ-იაგოში (ჩილი). აქ 16-30 აპრილს ეწყობა ჩილის კალათბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირი. სანტ-იაგოში ელიან მსოფლიოს 16 უძლიერეს გუნდს, რომელთა შორის იქნებიან ოლიმპიური ჩემპიონი — აშშ-ის ნაკრები და მსოფლიო ჩემპიონი — ბრაზილია.

სხვადასხვა მიზეზით საბჭოთა გუნდში არ გამოვლენ ნაკრების მოწინავე მოთამაშეები გ. ვოლნოვი, ა. პეტროვი და ა. ტრავინი. სსრ კავშირის ნაკრები არასდროს ყოფილა ასეთი ახალგაზრდული. მისი თითქმის ნახევარი დებიუტანტებითაა დაკომპლექტებული. გუნდის საშუალო ასაკი 22 წელია, სამაგიეროდ, საშუალო სიმაღლე 196 სანტიმეტრს აღწევს.

საბჭოთა კალათბურთელები აგრეთვე ეწვევიან არგენტინას, ურუგვაის და მომავალი ოლიმპიადის ქვეყანას — მექსიკას.

## შეტევაზეა ლ. ქველიძე



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდის მოწინავე წევრი ლ. ქველიძე შემტევი სტილის მოთამაშეა. იგი ჩახმახივითაა შემართული და მისი თითქმის ყოველი მოძრაობა კალათის ალებისკენაა გამიზნული. ამდენად, ქველიძე მეტოქეთა დაცვის ყურადღების მთავარი ობიექტია. ეს შესანიშნავი სპორტსმენი ზუსტად ისვრის ნახტომში ცალი ხელით, რასაც იშვიათად შეხვდებით ქალებში.

სურათზე: ლ. ქველიძე მისთვის დამახასიათებელ ნახტომში...

ფოტო ა. სააკოვისა.

### სსრ კავშირის პირველობა

## გუშინ... „ა" კლასი II ჯგუფი

# პირველი გამარჯვება

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 12 აპრილი.

„დინამო" (ბათუმი) — „სპარტაკი" (გომელი) 2:1 (2:1).

„დ ი ნ ა მ ო": კვახაძე, როგავა, ჯოხაძე, ონიანი, კიზირია, ქიქავა, ვერულიძე, კონიაშვილი, სირაძე (შაფათავა), გიორგაძე, აბაიშვილი.

„ს პ ა რ ტ ა კ ი": გავრილოვი (ვორონი), სუპრუნიუკი, კოვალიოვი, სუბოტკო (გარცევი), უტკინი, ჟუკოვი, მიშინი, ვასილიევი, ბოგომოლოვი, ნასენკოვი, რეშეტნიკოვი.

მსაჯი ტ. ხურუმი (კრასნოდარი).

ბათუმელმა მაყურებლებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს თავიანთი გუნდის პირველი გამოსვლისადმი „უმაღლეს დონეზე" და მათი ყურადღება სათანადოდ იქნა ანაზღაურებული: გათამაშების ცხრილში ჩაწერილია პირველი 2 ქულა.

მიმდინარეობდა მატჩის მე-7 წუთი, როცა გიორგაძე სწრაფად გავიდა მარჯვენა ფრთაზე და დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — 1:0. მართალია, ეს გოლი სპარტაკელმა ნასენკოვმა მალე გაქვითა და მე-15 წუთზე კვახაძემ ძლივს მოუსწრო მის საპირისპიროდ გასულ ბოგომოლოვს, მაგრამ ბათუმელებმა კვლავ შეძლეს საერთო ინიციატივის მოპოვება. 23-ე წუთზე სირაძე — აბაიშვილი — გიორგაძის კომბინაცია მეორე გოლით დაგვირგვინდა და „დინამო" კვლავ დაწინაურდა.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა მოულოდნელად უკლეს ტემპს და მინდვრის შუაგული დაუთმეს მეტოქეს. განსაკუთრებით ინერტულად გამოიყურებოდა შეტევის მარჯვენა ფრთა, ხშირი იყო შეცდომები სხვა რგოლებშიც. მიუხედავად იმისა, რომ „სპარტაკი" 9 მოთამაშის შემადგენლობით დარჩა (დაშავდა გარცევი, ხოლო რეშეტნიკოვი მსაჯმა უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევა), მასპინძლებმა ვეღარაფერი მიუმატეს თავიანთ აქტივს.

ვ. მოსეშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## გუშინ...

**თბილისის** „დინამოს" სტადიონზე დამთავრდა საქართველოს ქალაქების მატჩი მძლეოსნობაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ბირთვის კვრაში საქართველოს რეკორდსმენმა მ. ოყროშიძემ (თბილისი I) წლეულს მეორედ გაიმეორა თავისივე რეკორდი — 17,41 მ. 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში თბილისელმა ა. შჩერბინამ და მისმა მოწაფემ ი. დელა-როსამ ერთნაირი დრო — 1:34.29,6 — აჩვენეს. ორივემ დაამტკიცა სპორტის ოსტატობა. სპორტის ოსტატის ნორმა აჩვენა ლ. დარახველიძემაც (თბილისი I). სამხტომში მისი შედეგია 15,72 მ.

●

**„დინამოს"** სტადიონის სათადარიგო მინდორზე გაიმართა თბილისის პირველობის მორიგი მატჩი რეგბში. თამაშობდნენ შეჯიბრების ლიდერები — „დინამო" I და „ლოკომოტივი". კოკისპირული წვიმის მიუხედავად, მატჩი საინტერესოდ მიმდინარეობდა. მე-10 წუთზე დინამოელმა რ. ღვინიაშვილმა წარმატებით განახორციელა ცდა და თავის გუნდს 3 ქულა შესძინა. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს დინამოელებმა, რომელთაც ახლა 10 ქულა აქვთ.

●

**თბილისის** სპორტის სასახლეში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. I ტურის მატჩები ასეთი შედეგებით აღინიშნა: სსრ კავშირი — საქართველო 26:14 (10:8), სსრ კავშირი (ახალგაზრდული ნაკრები) — დანია 19:22 (7:11).

## ნაწვიმარ მინდორზე

თბილისი. „ბურევესტნიკის" სტადიონი. 12 აპრილი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 0:0.

„ლ ო კ ო მ ო ტ ი ვ ი": რუხაძე, იაშვილი, კოპინი, ოდიკაძე, ფრიდმანი, ძაგანია, მუმლაძე, ისიანი, გავაშელი, ახალკაცი, კოშკელოვი (ჭელიძე).

„ტ რ ა ქ ტ ო რ ი": სტრელკოვი, კატოპულო, კოვაჩი, დერგაჩი, ფიოდოროვი, აფშევი, რებროვი, მირონოვი, პოგორელოვი, ორლოვი, საველიევი (ზოლენკო).

მსაჯი გ. კარაპეტიანი (ერევანი).

ძლიერი წვიმის შემდეგ მინდორი ატალახდა და მოთამაშეებს უჭირდათ ბურთის დამუშავება. სისწრაფისა და ტემპის განვითარება ძალზე გაძნელდა, მაგრამ ფეხბურთში წვიმა ახალი ამბავი არაა და სველ მინდორზე თამაშსაც თავისი კანონები აქვს. თბილისელებმა კი ეს კანონები დაივიწყეს. მათ მთელი მატჩის განმავლობაში ისე ეპყრათ ტერიტორიული უპირატესობა, რომ „ტრაქტორის" კართან საგოლე მომენტები თითქმის არც კი შეუქმნიათ. მხოლოდ ისიანს და ჭელიძეს ჰქონდათ ბურთის გატანის ორიოდე ხეირიანი შესაძლებლობა.

ლოკომოტიველებმა ფაქტიურად ხელი შეუწყეს სტუმრებს კარის დაცვაში. ისინი ზედმეტად აყოვნებდნენ ბურთს მინდვრის შუაგულში, გულმოდგინედ ზელავდნენ ტალახს, თამაშობდნენ მხოლოდ მოკლე გადაცემებით, შეჯგუფულად. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მოწინააღმდეგეს და „ტრაქტორმაც" სრული კმაყოფილებით მიიღო ფრე.

ჯ. ვაჩიბერიძე.

## [illegible] საათი...

◆ **ბუდაპეშტი,** 12 აპრილი. წარმატებით გამოვიდნენ სსრ კავშირის ნაკრების ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის პროგრამით ჩატარდა. მოსკოველები ლ. სურმენიოვა და ო. ხარლოვა შესაბამისად I-II ადგილებზე გავიდნენ და ორი დღის ასპარეზობის ჯამში დააგროვეს 74,35 და 74,20 ქულა. III ადგილზეა უნგრელი დუცა — 73,90. მოსკოველი ტ. კოტლიაროვა 73,05 ქულით VI იყო, ხოლო მისი თანაქალაქელი ზ. დრუჟინინა — XXII (69,65 ქულა).

◆ **კიროვაბადი,** 12 აპრილი. საავიაციო ინჟინერი ა. სკოპინოვა (მოსკოვი) მსოფლიოში მეორე პარაშუტისტი ქალია, რომელმაც მე-2000 ნახტომი შეასრულა. მამაცმა სპორტსმენმა თავისი საიუბილეო ნახტომი უძღვნა კოსმონავტიკის დღეს.

◆ **ვენა,** 12 აპრილი. ახალგაზრდა მოფარიკავეთა აქ დამთავრებულ ჩემპიონატში გუნდური გამარჯვება იზეიმეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც 48,5 ქულა მოაგროვეს და 2,5 ქულით აჯობეს II ადგილზე გასულ უნგრელებს. III ადგილზე გავიდნენ რუმინელები — 29 ქულა. ესპადრონისტთა ტურნირში ჩემპიონი გახდა ზ. ნადი (უნგრეთი).

# მშვიდობის ველორბოლისთვის

სოჭი, 11 აპრილი. ორჯერ აიღეს დღეს სტარტი მშვიდობის XIX ტრადიციული ველორბოლისთვის მოსამზადებელი შესარჩევი შეჯიბრების მონაწილეებმა — სსრ კავშირის უძლიერესმა ველოსიპედისტებმა.

დღისით 11 კილომეტრზე დაყოფილი სტარტით ასპარეზობაში საუკეთესო იყო არმიელი ა. დოხლიაკოვი (მინსკი) — 27.32,0. 18 წამი წააგო მასთან დინამოელმა ვ. ქარკოვმა (ალმა-ათა). III იყო გ. საიდხუჟინი (სოჭის „ტრუდი") — 28.00,0.

საღამოს თეატრალურ მოედანზე სპორტსმენებმა 99 კმ-ზე რბოლის სტარტი აიღეს. I ადგილი ერთბაშად სამმა ველოსიპედისტმა დაიკავა — ს. შეპელმა (დუშანბეს „დინამო"), ი. კლაასეპმა (ტარტუს „კალევი") და ვ. მორზიკმა (რიგის „ვარპა") — 2:26.31,0.

36 წამის შემდეგ ფინიშთან მიიჭრა მეორე სამეული — არმიელები გ. ლებედევი (აშხაბადი), ა. ოლიზარენკო (ლენინგრადი) და ა. დოხლიაკოვი.

ველოსპორტი




# პატიოსნება ყველაფერში საჭიროა

„პრავდის" პრიზზე მძლეოსნური კროსის დებულებაში თეთრზე შავით, გარკვევით წერია, რომ შეჯიბრება მასობრივია და მიზნად ისახავს ღონისძიებაში რაც შეიძლება მეტი სპორტის მოყვარული ჩააბას. გამარჯვებულად ჩაითვლება კოლექტივი, რომელიც პროცენტულად მეტ მუშა-მოსამსახურეს, სტუდენტსა და მოსწავლეს გამოიყვანს და უკეთეს ტექნიკურ შედეგებს მიაღწევს.

თითქოს თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ მასობრიობა „მკვდარი სულების" ასპარეზობას არ გულისხმობს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის მაგალითები, როცა შეჯიბრების ამ ერთ მხარეს დახარბებული ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელები ცდილობენ ვიღაცას თვალი აუხვიონ და საასპარეზოდ შემთხვევითი ხალხი გამოჰყავთ. ჩვენ იმის მოწმეც გავხდით, როგორ მოიტანა რამდენიმე სპორტსმენმა ფინიშთან ათობით საკონტროლო ბარათი და მალულად ჩაუშვა კომბაინში.

ეს თაღლითობა კვირას თბილისის იპოდრომზე მოხდა, სადაც ორჯონიკიძის რაიონის მძლეოსნური კროსი გაიმართა. ასპარეზობა, მართლაც, მასობრივი იყო — სტარტზე გამოვიდა რაიონის 2.000-მდე კროსმენი.

ცალკეულ დისტანციებზე მოასპარეზეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სტარტამდე ბუჩქებში მიიმალა. როცა მათი კოლეგები, ისინი, ვინც პატიოსანი ბრძოლით აპირებდა გამარჯვებას, ფინიშს მიუახლოვდნენ, თაღლითები სამალავებიდან გამოხტნენ და მორბენლებს შეუერთდნენ. მეორე ჯგუფმა იოლი მოგების სხვა გზა — დისტანციის მოჭრა — აირჩია. სხვებმა თავიანთი საკონტროლო ბარათები თანაგუნდელებს მისცეს, თვითონ მაყურებლებში მოკალათდნენ და იქიდან ამხნევებდნენ ამხანაგებს: არიქა, როგორმე ფინიშამდე მიდით, კომბაინში ჩვენი ბარათების ჩაყრაც არ დაგავიწყდეთო...

სამწუხაროდ, ეს ერთ რომელიმე კოლექტივს კი არ ეხება: თვალთმაქცობა ბევრმა იკადრა. დღისით, მზისით, გამოჩენილი სპორტსმენებისა და აღმზრდელების თვალწინ, მოტყუებით უნდოდათ ფონს გასვლა უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური ინსტიტუტების, 51-ე, 54-ე, 58-ე, 64-ე, მე-60 საშუალო სკოლების, კოოპერაციული, სავაჭრო-კულინარული ტექნიკუმებისა და სხვათა გუნდებს, მაგრამ მსაჯთა სიფხიზლის წყალობით, რომ იტყვიან, ბევრს „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა". დასანანია, რომ ამ მაქინაციებში არაერთ ბრძოლაში ნაწრთობი მძლეოსნებიც მონაწილეობდნენ.

პედინსტიტუტის გუნდის წევრი, მძლეოსანი ე. სოლომენაია, რომელიც 500 მეტრზე ერთ-ერთ გარბენში გამოდიოდა, ფინიშთან პირველი მივიდა და თან თავისი ამხანაგის გელაშვილის საკონტროლო ბარათიც მიიტანა. ამავე ინსტიტუტის გუნდის წევრმა რ. აბაშიძემ უფრო დიდი „ვაჟკაცობა" გამოიჩინა — კომბაინში ხაბეიშვილის, თანდილაშვილის, პაიჭაძისა და ქაჯაიას საკონტროლო ბარათების ჩაყრაც მოინდომა. 4 თანაგუნდელის „ტვირთი" ზიდა ი. სუკაშვილმა. ს. კოგოიანს ფინიშთან ჩამოართვეს სარქსიანის, ბასილაიას, გრიგორიანისა და სეროფიანის ბარათები. ქალებს არც პედინსტიტუტის ვაჟები ჩამორჩნენ. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტმა თ. ყარაგეზიანმა 1.000 მეტრი ირბინა ჩუიკოვის, ტროფიმენკოს, მარჩენკოსა და სალატის მაგიერ. ასევე „გამოიჩინა" თავი პ. შამანიდიმაც.

მომავალი პედაგოგები, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელი მ. სიმონოვა და ბ. სოლომკო (ფაკულტეტი ვერ დავადგინეთ) საკონტროლო ბარათებით დატვირთულნი მივიდნენ ფინიშთან. ასევე მოიქცნენ აღმოსავლეთმცოდნეობის, გეოგრაფია-გეოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების სტუდენტები პ. ცხადაია, რ. გირგვლიანი, ს. წიკლაური.

ვალში არც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის პირველკურსელები დარჩნენ. რ. ტუღუშელაშვილმა 2, ხოლო ი. შიოლაშვილმა 3 თანაკურსელის მაგიერ ირბინა. ტექნოლოგიური ფაკულტეტის მეორეკურსელი ი. ცაგარეიშვილი კი ნ. თოფჩიშვილს და ლ. ფილიას „დაეხმარა". ისინი რას ფიქრობდნენ, არ ვიცით, ჩვენს ენაზე კი ამას „დათვური სამსახური" ეწოდება.

სტუდენტების მაგალითი უმცროსებმაც გადაიღეს. 54-ე სკოლის მოსწავლემ, 16 წლის მ. სუხიშვილმა 4 ამხანაგის დახმარებით თანასკოლელთა 29 ბარათი მიუტანა თანაკ. 64-ე სკოლის მოსწავლემ ნ. ცხოვრებოვამ კი 500 მეტრი ირბინა... 7 ამხანაგის მაგიერ. შვიდჯერ მიიღეს შენიშვნა 51-ე სკოლის გოგონებმა, ხუთჯერ — მე-60 სკოლის ჭაბუკებმა. უბრალოდ, კურიოზული იყო 59-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლის ლ. თამრაზიანის საქციელი, რომელმაც სასწრაფო „დახმარება" გაუწია 56-ე სკოლის მოსწავლეებს მ. წურწუმიას, ს. ტერთიანს, ე. ეხისკალოვას, ლ. სილანტიევას და ტ. ნეჩაევას.

სხვა მაგალითების ჩამოთვლა ზედმეტად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, კროსში მონაწილეთა სამარცხვინო საქციელში დიდი წვლილი მიუძღვით მათ აღმზრდელებსაც, რომლებმაც, ალბათ, ახალგაზრდა სპორტსმენებს სათანადოდ ვერ განუმარტეს სულ უბრალო ჭეშმარიტება: პატიოსნება ყველაფერში საჭიროა!

ვფიქრობთ, ზემოჩამოთვლილი კოლექტივების დირექციები იმსჯელებენ და დამნაშავეთ საკადრისსაც მიუზღავენ. ამ შეჯიბრების მაგალითს უნდა დაუფიქრდნენ კროსის ორგანიზატორებიც.

გაგაცნობთ ასპარეზობის ტექნიკურ შედეგებს. 500 მ — გოგონები — ს. ლიპატოვა (64-ე სკოლა) — 1.34,0; 1.000 მ — ქალები — ნ. ბახტაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 3.22,0, 1.000 მ — ჭაბუკები — ჟ. მგელაძე (123-ე სკოლა) — 2.59,6, 3.000 მ — დ. კილაძე (უნივერსიტეტი) — 10.34,0 (მეორე იყო 123-ე სკოლის მოსწავლე თ. ზურაშვილი, რომელიც შეცდომით გამოვიდა ამ მანძილზე — 1.000 მ უნდა ერბინა — და გამოცდა მაინც კარგად ჩააბარა), 5.000 მ — ი. მიხაილჩენკო (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 16.00,0.

# საკლასიფიკაციო ცხრილის მიღმა

საქართველოს მძლეოსანთა პირველ საგაზაფხულო შეჯიბრებაში — ქალაქების მატჩში, როგორც ცნობილია, მონაწილეობდნენ მასპინძლების — თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავისა და გორის გუნდები. სწორედ ამ ქალაქებშია თავმოყრილი ჩვენი „სპორტის დედოფლის" ნაკრები, რომელმაც ზამთრის საშეჯიბრებო ეტაპი კარგად განვლო და საგაზაფხულო ტურნირებში მაღალი შედეგების მოპოვებას გვპირდებოდა. ჩვენ ოპტიმიზმს ისიც აძლიერებდა, რომ ლენინგრადის მანეჟში გამართულ ამასწინანდელ საკავშირო ტურნირში საქართველოს არც ერთ მძლეოსანს არ უჩვენებია I თანრიგზე უარესი შედეგი.

ლენინგრადში მოასპარეზეთა უმეტესობა თბილისის „დინამოს" სტადიონზე ვერ გამოვიდა, ვინაიდან ისინი სხვადასხვა შეკრებაზე იმყოფებიან, მაგრამ ამას დაღი არ უნდა დაეჩნია შეჯიბრების შედეგებზე. ლენინგრადში ხომ მხოლოდ საქართველოს 17 მძლეოსანი იყო?

სამწუხაროდ, ასპარეზობის პირველი დღე მაღალი შედეგებით ვერ დაიქადნის. თბილისში კარგა ხანია არ გვინახავს რესპუბლიკური რეკორდის დაბადება. ოსტატის შედეგის ჩვენებაც იშვიათ ხილად იქცა. სპორტის ოსტატები ხშირად II თანრიგის მაჩვენებლებით კმაყოფილდებიან და უხარიათ, როცა I თანრიგს მიაღწევენ. როგორც ჩანს, ამ ასპარეზობისთვის სამზადისით არც ერთ ქალაქს (გარდა თბილისისა) არ შეუწუხებია თავი.

სიგრძეზე მხტომელ ვაჟთა შორის საინტერესო ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკის, სპორტის ოსტატ რ. ქვაჩაკიძისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრის, სოხუმელი სპორტის ოსტატის ვ. სანეევის „ჭიდილი" უფერული გამოდგა. თუ ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობის მიუხედავად ქვაჩაკიძემ დღემდე შეინარჩუნა სპორტული ფორმა, 720 სანტიმეტრზე გადახტა და გაიმარჯვა კიდეც, სანეევს შარშან დაშავებულმა ფეხმა საშუალება არ მისცა 631 სანტიმეტრზე შორს გადამხტარიყო. ეს კი III თანრიგის შედეგია. უფრო მოუმზადებელი აღმოჩნდა რუსთავის გუნდის წევრი კ. კრავცოვი, რომელიც ძლივსძლივობით გადახტა 562 სანტიმეტრზე (ქალები ხომ ხშირად უკეთ ხტებიან!) და ბოლო, XI ადგილი დაიკავა.

ანდა, ავიღოთ 200 მეტრზე თარჯრბენი. III პრიზიორმა ა. ნოვიკოვმა (ბათუმი) ჭაბუკთა I თანრიგის შედეგი (28,9) აჩვენა, ბოლო ადგილზე გასული ვ. ოსიპოვი (გორი) კი, საერთოდ, ვერც ერთ თანრიგს ვერ შეწვდა (30,3).

მეტად დაბალია 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში მონაწილეთა მაჩვენებლებიც. გამარჯვებულ გ. იმნაძის (ბათუმი) დრო — 9.49,5 — II თანრიგს შეესაბამება, ზ. ჯერგენია (სოხუმი) და ა. ჯინჯიხაშვილი (გორი) კი... უთანრიგოდ დარჩნენ.

სასიქადულო არაფერი აქვთ ჭოკით მხტომელებს. ექვსმა ქალაქმა 3 სპორტსმენი (?!) გამოიყვანა და ვერც ერთი ვერ აცდა 380 სანტიმეტრს. ი. იდაშკინი (ბათუმი), რომელიც III იყო, მხოლოდ 320 სანტიმეტრზე გადახტა.

თუ ზემოაღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ ამ დღეს 27 პრიზიორი ვაჟიდან მხოლოდ 10-მა მოიპოვა I თანრიგის შედეგი, სურათი უფრო ნათელი გახდება.

სავალალო მდგომარეობა გვაქვს ქალებში. რ. შჩელკოვსკაიამ (თბილისი I) 400 მეტრის გარბენას მოანდომა 1.02,7 (III თანრიგი) და მაინც... გაიმარჯვა. ბოლო ადგილზე გასულმა ი. ყავრელიშვილმა (რუსთავი) კი 1 წუთი და 14 წამი ამაოდ ირბინა, ვინაიდან რბენის წესების უცოდინარობა გამოამჟღავნა, ბილიკიდან გადავიდა და ასპარეზობიდან მოიხსნა.

დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ რუსთავის სხვა წარმომადგენლებსაც (100 მ — ნ შჩებეტოვა — 14,7, 80 მ თარჯრბენი — ვ. ბიტიუხინა — 14,4. ასეთი შედეგები საკლასიფიკაციო ცხრილში არსადაა აღნიშნული).

ამ დღეს ორიოდე შედეგი მაინც იყო, რომლებმაც სიამოვნება განაცდევინეს მაყურებელს: თბილისელი ლ. ტუღუშის ბადრომ 49,97 სმ-ს მიაღწია (გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმას), ხოლო ი. მხეიძის ბადრო გადაცილდა ოსტატობის კანდიდატის ნორმას — 47,28 მეტრზე დაეცა; ვ. ვირჩენკომ 10.000 მეტრი დაფარა I თანრიგზე უკეთეს დროში — 31.18,8.

I თანრიგი მოიპოვეს აგრეთვე თბილისელებმა ო. ართილაყვამ (ურო — 55,47), რ. ჩუბინიძემ (სიგრძე — 710), ვ. ზემლიანოიმ (სიგრძე—692), თ. როჟმანოვამ (80 მ თარჯრბენი — 11,5), ვ. კურილოვმა და ვ. ტარანმა (ბადრო — შესაბამისად 47,90 და 47,43), ე. ლომთაძემ, ა. ანდრეევმა, ვ. სევასტიანოვმა და რ. ქვაჩაკიძემ (4×100 მ ესტაფეტა — 43,4), რ. სერებრიანიმ (რუსთავი) და ე. ლომთაძემ (თბილისი I) — 100 მ რბენაში — 11,0, ქეთევან კახიშვილმა (რუსთავი)—ბადროს ტყორცნაში—42,84.

სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: ქალთა შორის: 100 მ რბენაში — ვ. ქუთათელაძემ (თბილისი I) — 12,5, ესტაფეტაში 4×100 მ — თბილისის I გუნდმა (ნ. გაბეხაძე, თ. როჟმანოვა, გ. კონონენკო, ვ. ქუთათელაძე) — 49,7; ვაჟთა შორის: 400 მ რბენაში — ჯ. სხულუხიამ — 51,2, 800 მეტრზე — ი. ლოგუნოვმა — 1.57,1, 200 მ თარჯრბენში — ე. ლომთაძემ — 26,1, ჭოკით ხტომაში — ლ. გუგეშაშვილმა (ყველანი — თბილისი I) — 380.

ო. გელაშვილი.



სურათზე: ლ. გუგეშაშვილი შეჯიბრების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# სიტყვიერი განცხადება და...

საქართველოს სპორტკავშირში

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით შარშან იანვარში დმანისის რაიონი ბოლნისს გამოეყო, შეიქმნა სპორტკავშირის რაიონული საბჭო და სხვა ხელმძღვანელი ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომელთაც 74 ფიზკულტურულ კოლექტივში სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობისა და ბაზების საკითხის მოგვარებისთვის უნდა ეზრუნათ.

სპორტკავშირმა ერთგვარი მუშაობა ჩაატარა. ამ საკითხს პერიოდულად იხილავდნენ პრეზიდიუმის სხდომებზე. ეწყობოდა შეჯიბრებები, ამხანაგური და სამატჩო შეხვედრები. გადაჭარბებით შესრულდა რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლიური გეგმა, მაგრამ ამ მიღწევებმა ვერ გადაძალა დმანისელთა საქმიანობის ზოგი ნაკლოვანება. მაგალითად, სპორტკავშირმა მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი სკოლებსა და კოლმეურნეობებში, სათანადოდ ვერ გაშალა ფიზკულტურული მუშაობა. არ აფორმებდნენ პრეზიდიუმისა და პლენუმის სხდომების ოქმებს, არ ზრუნავდნენ ამ სხდომათა დადგენილებების ცალკეულ ორგანიზაციებში განხორციელებისთვის. სპორტკავშირის თავმჯდომარის გ. დევნოზაშვილის სიტყვიერი განცხადებით, შარშან ჩატარდა რაიონული შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ხელბურთსა და კალათბურთში, მაგრამ ამ ასპარეზობათა ოქმები და მთავარ მსაჯთა ანგარიშები რატომღაც არსად ჩანს.

დაბალია დმანისელ სპორტსმენთა ტექნიკური მომზადების დონე. რაიონის ნაკრები გუნდები რესპუბლიკურ ტურნირებში ან სულ არ მონაწილეობენ, ან მეტად დაბალი შედეგებით გამოდიან.

მუშაობის სათანადოდ წარმართვას ის გარემოებაც აფერხებს, რომ იურიდიული საწევრო ანარიცხები დროულად არ შეაქვთ. რაიონის 85 კოლმეურნეობიდან შარშან საწევრო მხოლოდ 14-მა გადაიხადა. ამ მხრივ „თავი გამოიჩინეს" პატარა დმანისის, დიდი დმანისის, ბოსლების, კიზილსკისა და სხვა კოლმეურნეობებმა (ამ ფიზკულტურულ კოლექტივებს არც სხვა მხრივ აქვთ ყველაფერი რიგზე).

ნაყოფიერი მუშაობით ვერც განათლების განყოფილების ფიზკულტურული კოლექტივები დაიქადნიან. ფიზაღზრდის 25 მასწავლებლიდან მარტო ექვსს აქვს სპეციალური განათლება. კვალიფიციური კადრების სიმცირის გამო ბევრ სკოლაში ფიზაღზრდის გაკვეთილები უხარისხოდ ტარდება. იშვიათად ეწყობა ღონისძიებები. რაისაბჭო და განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან ფიზკულტურული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას.

მოუვლელი და კეთილმოუწყობელია სპორტული ბაზებიც. მაგალითად, რაიონული ცენტრის სტადიონი შემოუღობავია, არა აქვს გასახდელები, მძლეოსნური სექტორები და სხვ.

სპორტკავშირის დმანისის რაისაბჭოს სარევიზიო კომისიას (თავმჯდომარე გ. დეთუაშვილი) მთელი წლის მანძილზე ერთხელ მაინც რომ მოეგონებოდა თავისი მოვალეობა, შეიძლება არც ეს საყვედური დაგვჭირებოდა.

ყოველივე ამის შესახებ ახლახან იმსჯელა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის სხდომამ. დაისახა სათანადო ღონისძიება. დმანისის სპორტკავშირის რაისაბჭოს დაევალა განათლების განყოფილებასა და კომკავშირის რაიკომთან ერთად გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა და კონტროლი ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი, ფართოდ გაშალოს სამზადისი საქართველოს IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის, იზრუნოს სპორტნაგებობათა ქსელის გაფართოების, სკოლებისა და სხვა ფიზკულტურული კოლექტივების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისთვის.

# უკანასკნელი არდადეგები

თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელებმა კარგად გავატარეთ საგაზაფხულო არდადეგები. ჩვენი ხუთდღიანი ტურისტული ლაშქრობის მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი — ანანური — ფასანაური — ჩარგალი — დუშეთი — თბილისი. გადაწყვეტილი გვქონდა, ფასანაურამდე ავტობუსით გვემგზავრა, მერე კი ფეხით გვევლო.

... დილით მშვენიერი ამინდი დადგა. ჩვენი „მხედრიონი" სკოლაში შეიკრიბა. მცირე თათბირის შემდეგ მანქანა უკვე საქართველოს სამხედრო გზაზე მიგვაქროლებდა. ანანური დავათვალიერეთ და ბინა ფასანაურის ტურბაზაში დავიდეთ.

მეორე ღამე სოფელ დიხჩოში გავითენეთ. ნაშუადღევს კი უკვე გუდამაყრის ქედზე, ზღვის დონიდან 2510 მეტრზე, წელამდე თოვლში ვიდექით და ქვევით, თითქოს ხელისგულზე გადაშლილი მთიულეთის პატარ-პატარა სოფლებს გადავცქეროდით.

სიამოვნებით ვიგონებთ ჩარგალს, სადაც ვაჟაფშაველას სახლ-მუზეუმი დავათვალიერეთ. მთელი ლაშქრობა ფირზე აღბეჭდა ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტმა ნუგზარ ანელმა.

ზ. ჭიჭოშვილი,
XI კლასის მოსწავლე.

# იუგოსლავიის სარბიელზე

მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი ამას წინათ დაბრუნდა იუგოსლავიიდან, სადაც მონაწილეობდა 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა საერთაშორისო ტურნირში. ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა მსოფლიო ჩემპიონს ეპასუხა ამ ასპარეზობასთან დაკავშირებულ რამდენიმე კითხვაზე.

● **რა მიზანს ემსახურებოდა იუგოსლავიის ქალთა საერთაშორისო ტურნირი?**

— იუგოსლავია ცნობილია თავისი მოჭადრაკე ქალებით, რომელთაგან ზოგიერთი დედოფლის ტახტის სერიოზული პრეტენდენტიცაა. ამიტომ არაფერია გასაკვირი, რომ იქაურმა ჭადრაკის მესვეურებმა გადაწყვიტეს ყოველ წელს გამართონ დიდი ტურნირი, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს დაუკავშირეს. ამ შეჯიბრებებში მათ სურთ გაწვრთნან თავიანთი საუკეთესო მოჭადრაკე ქალები და შეაჩვიონ ისინი საერთაშორისო კლასის აღიარებულ ოსტატებთან თამაშს.

● **თქვენ სტარტი წაგებით აიღეთ. რა იყო ამის მიზეზი?**

— დიახ, მე პირველ დღესვე წავაგე პარტია მ. ლაზარევიჩთან. ეს მარცხი ძალზე გულდასაწყვეტია, ვინაიდან ნაღდად მოსაგები პოზიცია მქონდა. 2 ზედმეტი პაიკი ხომ რაღაცას ნიშნავს! წაგების მიზეზად დაღლილობა მიმაჩნია: ბელგრადს დღისით ჩავფრინდი, საღამოს კი უკვე დაფას ვუჯექი. ამაში საკუთარ თავს ვამტყუნებ, — მასპინძლებმა შემომთავაზეს ამ დღეს დამესვენა. უარი, როგორც ხედავთ, ძვირად დამიჯდა.

ლაზარევიჩთან პარტიის შემდეგ ძალიან ენერგიულად ვიბრძოდი და კვალში ჩავუდექი ლიდერებს. ნერვულმა დაძაბულობამ პირველად თავი იჩინა იუგოსლაველ ტ. შტადლერთან პარტიაში. ეტლების მოსაგებ ენდშპილში ყაიმის მხოლოდ ერთი გზა არსებობდა და მეც სწორედ იგი „ავირჩიე". და აი, მეორე დღეს შევხვდი ა. ნიკოლაუს. იგი მართლაც შესანიშნავად თამაშობდა, პარტიას პარტიაზე იგებდა. ჩვენი შეხვედრა სიცილიური დაცვით დაიწყო. რუმინელმა სწორედ ის ვარიანტი აირჩია, რომელსაც მე ვთამაშობ თეთრებით. მინდოდა მისი უარყოფა და... დავისაჯე. თეთრების სისტემა იმდენად კარგია, რომ ვერაფერი გავაწყე. ასე გამასწრო ნიკოლაუმ.

● **საბოლოოდ როგორ გაიყავით I-II ადგილები?**

— წაფორხილებამ თითქოს ძალა შემმატა და ფინიშზე ოთხ შეხვედრაში 3,5 ქულა მოვაგროვე. წაგებას ვერც ნიკოლაუ გადაურჩა. ყოველივე ეს კარგად ჩანს სატურნირო ცხრილში.

● **ხომ არ გაგვაცნობთ რომელიმე თქვენს პარტიას?**

— ტურნირში მქონდა რამდენიმე პარტია, რომლებიც მომწონს. გიჩვენებთ ორს.

ვ. ნედელკოვიჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელის ცნობილი პრეტენდენტია. ამიტომ ჩვენს პარტიას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ერთმანეთს ფინიშზე შევხვდით, როცა ორივეს მხოლოდ გამარჯვება გვაძლევდა ხელს.

### ნ. გაფრინდაშვილი — ვ. ნედელკოვიჩი

პარტიაში შენიღბული პოზიციური ბრძოლა მიმდინარეობს. თეთრები აქტიურობენ ლაზიერის ფრთაზე და მცირე უპირატესობასაც აღწევენ. მაგრამ პარტიის ბედი გადაწყდა მაშინ, როცა იუგოსლავიელის ლაზიერი დატყვევებული აღმოჩნდა. მისმა გათავისუფლებამ ფიგურა იმსხვერპლა.

ინგლისური დაცვა

1. მf3 მf6 2. g3 c5 3. კg2 მc6 4. 0—0 d6 5. c4 g6 6. მc3 კg7 7. d3 0—0 8. კd2 h6 9. a3 კd7 10. ეb1 a5 11. მe1 b6 12. მc2 ეb8 13. b4 ab

## „ლელო" ინტერვიუ

14. ab ლc8 15. b5 მd8 16. ეe1 მe6 17. ლc1 მფh7 18. ეa1 მd4 19. მ:d4 cd 20. მa2 d5 21. მb4 e6 22. კf4 ეa8 23. ე:a8 ლ:a8 24. კe5 ლa4 25. ლb2 ეa8 26. კ:d4 კf8 27. მa6 კa3 28. ლa2 მe8 29. ეa1 კ:b5 30. cb ლ:d4 31. ლ:a3 მf6 32. e3 ლe5 33. d4 ლh5 34. ეc1 მe4 35. კ:e4 de 36. ლe7 მფg7 37. ლb7 ეd8 38. მc7 ლf5 39. ლ:b6 შავები დანებდნენ.

ლ. ჟიოციჩ-ჟივკოვიჩი ახალგაზრდა, მზარდი ოსტატია, თამაშობს პოზიციურ სტილში, ფხიზლად და არ უყვარს წაგება. მასთან საინტერესო საენდშპილო ბრძოლა მქონდა.

### ნ. გაფრინდაშვილი — ლ. ჟიოციჩ-ჟივკოვიჩი

კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 მbd7 5. კc4 მf6 6. მ:f6+ მ:f6 7. c3 e6 8. მf3 კe7 9. ლe2 0—0 10. კg5 მd5 11. კ:e7 ლ:e7 12. 0—0 ლf6 13. მe5 მf4 14. ლe4 ლf5 15. ლ:f5 ef

გამოვიდა ენდშპილი, რომელშიც თეთრებს ლაზიერის ფრთაზე ზედმეტი პაიკი აქვთ. შემდგომ ისინი ცდილობენ ამ მცირე, მაგრამ მყარი უპირატესობის გამოყენებას.

16. g3 მe6 17. ეfe1 მd8 18. ეe2 კe6 19. ეae1 b6 20. კa6 b5 21. a4 ba 22. ეa1 g6 23. ე:a4 მფg7 24. ეb4 f6 25. მd3 კd5 26. მc5 ეf7 27. c4 კf3 28. ეe3 კd1

შავ კუს გზა დაებნა. თეთრები სარგებლობენ ამ შემთხვევით და გადამწყვეტ უპირატესობას აღწევენ.

29. ეe8 ეf8 30. ეe1 კc2 31. f3 f4 32. g4 g5 33. d5 cd 34. cd კg6 35. d6 კf7 36. d7 მc6 37. ეb7 მe5 38. მe6+ მფg8 39. მ:f8 მ:f3+ 40. მფf2 მ:e1 41. ეc7 ე:f8 42. ეc8 შავები დანებდნენ.

● **როგორ იყო ტურნირი ორგანიზებული?**

— შესანიშნავად. მასპინძლები თავს გვევლებოდნენ. შეჯიბრებას სისტემატურად ესწრებოდნენ ცნობილი დიდოსტატები გლიგორიჩი, ტრიფუნოვიჩი, იანოშევიჩი და სხვები. სასტუმრო „სლავიას" მომსახურე პერსონალმა, რომელთა სტუმრებიც ვიყავით ტურნირის დროს, ცხოვრების შესანიშნავი პირობები შეგვიქმნა. სტუმრების სახელით, მადლობის ნიშნად, 15 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსი ჩავუტარე სასტუმროს თანამშრომლებს. ისინი ღირსეული მეტოქენი აღმოჩნდნენ, — ერთმა კიდეც მომიგო პარტია.

● **სხვაგან თუ გქონდათ ერთდროული თამაშის სეანსები?**

— ტურნირის შემდეგ ვეწვიე ჩერნოგორიას. ბევრ ქალაქში მომიხდა სეანსის ჩატარება. ყველაზე კარგად კოტორში ვითამაშე, სადაც 20 პარტია მოვიგე და 6 ყაიმით დავამთავრე. მოგზაურობიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ყველა იუგოსლავიელი თამაშობს ჭადრაკს და საკმაოდ კარგადაც.

● **ტრადიციულად, ყოველი დიდი ტურნირის შემდეგ ელვისებური თამაშის შეჯიბრებებს აწყობენ. თქვენი ტურნირის შემდეგ თუ გაიმართა ასეთი ასპარეზობა?**

— რასაკვირველია, მოეწყო. 11 მონაწილემ ორწრიანი ტურნირი ჩავატარეთ. 20 შეხვედრაში 19,5 ქულა მოვაგროვე, II ადგილზე გასულმა ნიკოლაუმ კი — 18.

● **რას იტყვით პეტროსიან — სპასკის მატჩზე?**

— ორივესთვის ძნელი მატჩია. თითქმის შეუძლებელია გამოიცნო გამარჯვებული. ჩემი აზრით, ორთაბრძოლის ბედი მხოლოდ დასკვნით პარტიებში გადაწყდება.

| № | მონაწილენი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნ. გაფრინდაშვილი /სსრ კავშირი/ | ■ | 0 | 0 | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | 9 | I-II |
| 2 | ა. ნიკოლაუ /რუმინეთი/ | 1 | ■ | 0 | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 9 | I-II |
| 3 | მ. ლაზარევიჩი /იუგოსლავია/ | 1 | 1 | ■ | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 8 | III-IV |
| 4 | ლ. ჟიოციჩ-ჟივკოვიჩი /იუგოსლავია/ | 0 | ½ | 1 | ■ | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | 8 | III-IV |
| 5 | კ. იოვანოვიჩი /იუგოსლავია/ | 0 | 0 | 1 | ½ | ■ | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | 0 | 1 | ½ | 7 | V |
| 6 | ტ. შტადლერი /იუგოსლავია/ | ½ | 0 | 1 | 0 | 0 | ■ | ½ | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 6½ | VI |
| 7 | კ. ერეტოვა /ჩეხოსლოვაკია/ | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | ■ | 1 | 0 | 1 | ½ | 1 | 1 | 6 | VII-VIII |
| 8 | ტ. ველიმაროვიჩი /იუგოსლავია/ | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | ■ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 6 | VII-VIII |
| 9 | ვ. ნედელკოვიჩი /იუგოსლავია/ | 0 | 1 | 0 | ½ | 0 | 1 | 1 | 0 | ■ | 0 | 1 | 0 | 1 | 5½ | IX |
| 10 | მ. ლილიაკი /იუგოსლავია/ | 0 | 0 | 1 | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | 1 | ■ | 0 | 1 | 1 | 5 | X |
| 11 | კ. ვრეკენი /ჰოლანდია/ | 0 | 0 | 0 | ½ | 1 | 0 | ½ | 0 | 0 | 1 | ■ | 0 | 1 | 4 | XI |
| 12 | ე. ბილეკი /უნგრეთი/ | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | ■ | 1 | 3½ | XII |
| 13 | რ. იოვანოვიჩი /იუგოსლავია/ | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ■ | ½ | XIII |



პეტროსიან — სპასკის მატჩი საჭადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრშია. მილიონობით ჭადრაკის მოყვარული მოუთმენლად ელის ცნობებს მოსკოვის ესტრადის თეატრიდან, სადაც თანამედროვეობის ორი უდიდესი დიდოსტატის ორთაბრძოლა მიმდინარეობს.

სურათზე: მატჩის I პარტიის დემონსტრაცია თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბში. მაგიდას უზის პარტიის კომენტატორი, საპატიო სპორტის ოსტატი ბ. გურგენიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მ. ეივეს აზრით...

**მოსკოვი**, 11 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). პეტროსიან — სპასკის მატჩის რამდენიმე პარტიაზე დასასწრებად აქ ჩამოვიდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ეივე (ჰოლანდია). აი, რა განაცხადა ეივემ მატჩის თაობაზე.

— ახლა ბევრს ლაპარაკობენ პეტროსიან — სპასკის ორთაბრძოლაზე, ვინაიდან იგი უდიდეს სპორტულ ინტერესს იწვევს. ორივე მოჭადრაკე შემოქმედების აყვავების ხანაში იმყოფება.

ვისი შანსებია უკეთესი? უმრავლესობას მიაჩნია, რომ მატჩისთვის სპასკი უკეთესადაა მომზადებული. მაგრამ არც პეტროსიანს დაუკლია მეცადინეობა. მით უმეტეს, რომ მას ერთდროულად რამდენიმე დიდოსტატი ეხმარებოდა. ამიტომ არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ გამარჯვების შანსები სპასკის მხარესაა.

ტალ — სპასკის მატჩის წინ დაუფარავად ვთქვი, რომ გაიმარჯვებს სპასკი. ახლა, ჩემი აზრით, შანსები თანაბარია, მაგრამ მცირე უპირატესობას პეტროსიანს ვანიჭებ. ამას მკარნახობს ჩემი გამოცდილება და ინტუიცია.

## ჩემპიონის გამოსავლენად

როგორც ცნობილია, რუსულ შაშში თბილისის ჩემპიონატში I-II ადგილები გაიყვეს სპორტის ოსტატებმა თ. ბარამიძემ და ს. პახლაჯიანმა. ჩემპიონის გამოსავლენად ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო მათი მატჩი.

პირველ პარტიაში თეთრებით პახლაჯიანი თამაშობდა. მან აირჩია „ბოდიანსკის თამაში შავებით" და უარი თქვა ცნობილ თეორიულ გაგრძელებებზე.

დაფაზე შეიქმნა საინტერესო პოზიცია დაახლოებით თანაბარი შანსებით, მაგრამ შუა სტადიაში პახლაჯიანმა უზუსტოდ ითამაშა, მეტოქეს ცენტრი დაუთმო და ინიციატივა ბარამიძის მხარეზე გადავიდა. ამ უკანასკნელმა ზუსტად შეაფასა შექმნილი ვითარება და ლამაზი ეტიუდური გზით გაიმარჯვა.

მეორე პარტია გაიმართება დღეს.

### შაში

## რატომ არ გამოგზავნეს?

თბილისში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობა შაშში. გოგონებში ყველას აჯობა ე. ბეროზაშვილმა (თბილისი). II ადგილზეა ი. ტყაბლაძე (ქუთაისი), ხოლო III — ი. სოპიორსკაია (თბილისი).

ჭაბუკებში უძლიერესი იყო ფოთელი ზ. გულორდავა. II ადგილი დაისაკუთრა ქუთაისელმა მ. მოძღვრიშვილმა, ხოლო III-IV ადგილები გაიყვეს თბილისელმა ვ. დავითაიამ და ქუთაისელმა ბ. ლოსაბერიძემ.

სოხუმისა და ბათუმის სპორტის მესვეურებმა შეჯიბრებაზე მონაწილენი არ გამოგზავნეს. ნეტავ, რატომ?

**ვ. ნიღუა,**
ოსტატობის კანდიდატი.

## ჯილდოები ღირსეულთ

კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში 1965 წლის საკავშირო შეჯიბრებებზე კარგი მსაჯობისთვის საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს გ. კარტოზიას; სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოვდა გ. თარგამაძე, ხოლო პ. იორდანიშვილს, დ. ციმაკურიძესა და ლ. კაპიტანოვს გამოეცხადათ მადლობა.

# გამოვიყენოთ ეს რეზერვები

ფიზკულტურის პროპაგანდისა და სპორტსმენთა ტექნიკის სრულყოფაში ფილმს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. სამწუხაროდ, სპორტკავშირთა და ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, ბავშვთა და ახალგაზრდული სპორტული სკოლები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმო-დაწესებულებათა, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, პროფტექნიკური განათლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზკულტურის კოლექტივები და მწვრთნელები ამ კარგ რეზერვს ნაკლებად, ან სულაც არ იყენებენ.

სპორტკავშირებისა და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების რაიონული და საქალაქო საბჭოების ვალია შეისწავლონ ფიზკულტურული ორგანიზაციების შესაძლებლობანი და კინოფიკაციის ადგილობრივ განყოფილებებთან ერთად უზრუნველყონ მოსახლეობა სპორტულ თემებზე შექმნილი მხატვრულ-პოპულარული და სასწავლო კინოფილმებით.

ვაქვეყნებთ კინოგაქირავების რესპუბლიკური კანტორის ფონდში არსებული სპორტული ფილმების უსრულო სიას: „დიდი კალათბურთი" (ევროპის კონტინენტის პირველობა კალათბურთში), „ევროპის ოქროს ციგურები" (ევროპის პირველობა ფიგურულ ხრიალში), „დიდი ტანვარჯიშის სკოლა" (მოგვითხრობს გროდნოელი მწვრთნელისა და პედაგოგის ჩ. კნიშისა და მისი მოსწავლეების ვოლჩეცკაიასა და ალექსეევას საქმიანობაზე), „კარში დგას ლ. იაშინი", „რინგის დიდოსტატი" (ნარკვევი ოლიმპიურ ჩემპიონ ო. პოპენჩენკოზე), „ციგურების დედოფალი" (ოლიმპიურ ჩემპიონ ლ. სკობლიკოვაზე), „სევასტოპოლელი მოსწავლე" (ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენის, ოლიმპიური ჩემპიონის გ. პროზუმენშჩიკოვას შესახებ), „ზაპოროჟიელი ოლიმპზე" (ეძღვნება ლ. ჟაბოტინსკის), „ტტტ" (რიგის კალათბურთელ ქალებზე), „მიწაზე, ცასა და ჰაერში" (ეხება სპორტის ტექნიკურ სახეობებს), „ადამიანები ღრუბლებზე მაღლა" (ფილმი პარაშუტისტებზე), „სტარტზე — უძლიერესნი" (მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება ზნამენსკების პრიზზე), „ჯანმრთელობის ქალაქი", „ბელგრადის სტარტი", „ათჭიდი", „ყურადღება, სტარტი!", „ფიგურისტთა ხელოვნება", „ერთი მედლის ისტორია", „და მაინც „სპარტაკი"", „როცა ზამთარი ძალაშია", „კარპატული ეტიუდი", „სათხილამურო პრემიერა", „ჩვენ პოლიტექნიკურიდან ვართ!", „ბურთი ბადეშია", „ზნამენსკების მემორიალი", „ტარტუს სიჭაბუკე", „მოტოტრასაზე", „სტარტზეა 10 მილიონი", „წყალზე და წყალქვეშ", „ისინი ჟენევაში შეხვდნენ", „ხუთი სტარტი", „წყალქვეშა ჩემპიონები", „გზა ერთი გოლისკენ", „გახანგრძლივებული ახალგაზრდობა", „ვისაუბროთ ცურვაზე", „სპორტსკოლის აღზრდილები", „ყველაზე ძლიერი", „ევროპაში უძლიერესნი", „უმაზე ძლიერნი", „სპორტული ტანვარჯიში", „დები პრესები", „სტარტს იღებენ ავტომობილისტები", „გოლიათთა ტურნირი", „30-ე სტარტი", „დამაჯერებელი ფაქტი", „დიდი ტანვარჯიშის ნაბიჯები", „დაუმთავრებელი დღიური", „მამაცთა შეხვედრა", „მაღლა მხოლოდ ცაა", „ბრძოლის 40 წუთი", „საბჭოთა კალათბურთელთა ტრიუმფი", „ინსბრუკის ოლიმპიადაზე", „წყალქვეშა მზეთუნახავი", „ისწავლეთ ცურვა", „აკადემიური ნიჩბოსნობა", „ჩვენი ნონა", „გულშემატკივრები", „ფეხბურთის ოლიმპზე" და სხვ.

## „ვერცხლი" განაღდებულია

ვ. არბეკოვის მარცხი

ავსტრიის დედაქალაქში

უნგრელები—ფინალში

21 ქულა 25-დან

## ახალი ამბები

● მ ო ს კ ო ვ ი, 11 აპრილი. დასასრულს უახლოვდება ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატი. გუშინ ადგილობრივმა „სპარტაკმა" ფრედ ითამაშა ვოსკრესენსკის „ხიმიკთან" (4.4) და გაინაღდა ვერცხლის მედლები.

● **კაუნასი, 11 აპრილი.** აქ გაიმართა დანიისა და ლიტვის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების ორი მატჩი. პირველ დღეს გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 21:20, ხოლო მეორე დღეს — სტუმრებს—23:22.

● **პარიზი,** 11 აპრილი. **250 კბ სმ მანქანების მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის II ეტაპი მოიგო ცნობილმა შვეციელმა მრბოლელმა ტ. ჰალმანმა. I ეტაპის გამარჯვებულს, მსოფლიო ჩემპიონს ვ. არბეკოვს (მოსკოვი) ამჯერად ბედმა უმუხთლა: მანქანის დაზიანების გამო მან შეჯიბრება ვერ დაამთავრა. III ეტაპი გაიმართება 24 აპრილს ბელგიაში.**

● ვ ე ნ ა, 11 აპრილი. მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი დაშნით ასპარეზობაში ფრანგი ჟ. ბროდენი. ახალგაზრდათა ამ ფორუმზე II და III ადგილებზე იყვნენ საბჭოთა მოფარიკავეები — მოსკოველი ი. სამოშკინი და ტალინელი გ. ზაჟეცკი. ნაკლები წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა რაპირისტი ქალები: მინსკელი ე. ნოვიკოვა, მოსკოველები ნ. კონდრატიევა და ლ. [illegible] ადგილებს დაჯერდნენ. გაიმარჯვა შვეციელმა კ. პალმმა.

● **ბუდაპეშტი, 11 აპრილი.** უნგრეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა ერთნაირი ანგარიშით (1:0) მოუგო ორივე შესარჩევი მატჩი ავსტრიის ნაკრებს და უეფა-ს ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. უნგრელებთან ერთად ჯგუფში იქნებიან თურქეთის, შვეიცარიისა და სსრ კავშირის ჭაბუკი ფეხბურთელები.

● ლ ვ ო ვ ი, 11 აპრილი. აქაური სტადიონის წიდიან ბილიკზე ორ დღეს ასპარეზობდნენ ცნობილი მოტომრბოლელები. პირველ დღეს ლვოველმა ვ. სოკოლოვმა ერთ-ერთ ცდაზე მოუგო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს ი. პლეხანოვს, მაგრამ მეორე დღეს პრიზიორმა 15 შესაძლებლიდან 15 ქულა მოაგროვა და დანარჩენ მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა.

● **ჰავანა,** 11 აპრილი. **კუბის ჩემპიონი ჭადრაკში გახდა რ. ორტეგა. 25 შესაძლებლიდან მან 21 ქულა დააგროვა. ქულანახევრით ჩამორჩა მას კუბის უცვლელი ჩემპიონი 1958 წლიდან, საერთაშორისო ოსტატი ე. ჰიმენესი.**

## ეს შესანიშნავია!

ჰ ა ვ ა ნ ა „500-კილოგრამიანების კლუბი" კიდევ ერთი ძალოსნით შეივსო. თავისუფლების კუნძულის ჩემპიონატში ე. ვარონამ 502,5 კგ დააგროვა, რაც კუბის ახალი რეკორდია. ათლეტის შედეგებია: აჰიმვა — 182,5 კგ (რაც აგრეთვე რეკორდია), ატაცი — 135 კგ, აკვრა — 185 კგ.

ლ ო ნ დ ო ნ ი. ინგლისელმა მოსწავლემ, 17 წლის დიანა ჰარისმა 100 იარდი ბრასით 1 წუთსა და 19,3 წამში გაცურა, რაც კ. ბაიერთან (გდრ) ერთად მის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩება.

## ჩემპიონის ორჯანი ცხენი

**ალმა-ათა, 11 აპრილი.** თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს უნგრელი სპორტსმენები ცუდად გამოვიდნენ. ცხენოსნურ კროსში მათი გუნდი მხოლოდ VI ადგილზე აღმოჩნდა (2865 ქულა). მსოფლიო ჩემპიონის ა. ბალცოს ცხენი მეორე წინაღობის დაძლევის შემდეგ გაოჩნდა და ბალცოს თავიდან მოუხდა დაწყებული დისტანციის გავლა. ამიტომ იგი, რა თქმა უნდა, საკონტროლო დროში ვერ ჩაეტია და მხოლოდ 80,5 ქულა მიიღო.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობენ აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბულგარეთის ხუთჭიდელები. საბჭოთა კავშირიდან გამოდიან ლატვიის, ლიტვის, ისტონეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთისა და ყაზახეთის (2) გუნდები.

ასპარეზობის პირველ დღეს წარმატება წილად ხვდა ლატვიის ნაკრებს, რომელმაც მოაგროვა 3270 ქულა. პირად ჩათვლაშიც ამ რესპუბლიკის წარმომადგენელმა — ვ. ილინმა (1100 ქულა) იმარჯვა. II ადგილზეა ესტონეთის გუნდი — 3180 ქულა, III — ყაზახეთის I ნაკრები. პირად ჩათვლაში II და III ადგილებზე შესაბამისად იყვნენ ა. ციპურინი (ლატვია) და ნ. ინებოლი (ესტონეთი).

## ტრადიციული საგაზაფხულო...

**ბუქარესტი, 11 აპრილი.** ჩოგბურთელ ვაჟთა და ჭაბუკთა აქ გამართულ სამდღიან ტრადიციულ საგაზაფხულო ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 7:5 დაამარცხეს მასპინძლები.

ლენინგრადელმა ა. ივანოვმა კარგად ჩაატარა დასკვნითი შეხვედრა რუმინელ ი. ნესტასესთან და გაიმარჯვა — 1:6, 6:4, 6:1, 6:3. ჭაბუკთა შეჯიბრების ბედიც ბოლო მომენტში გადაწყდა, როცა მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა მოუგო კ. დუმიტრესკუს — 6:3, 6:0.

დუმიტრესკუს ფარ-ხმალი დააყრევინა თბილისელმა თ. კაკულიამაც — 6:1, 8:6.

საბჭოთა ვაჟების გუნდში გამოდიოდნენ ხ. ლიხაჩოვი (ბაქო) და ა. ივანოვი, ხოლო ჭაბუკებში — ვ. კოროტკოვი, ა. ვოლკოვი (მოსკოვი) და თ. კაკულია.

აი, დანარჩენ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: **ვაჟები** — ლიხაჩოვი — ნესტასე — 6:2, 1:6, 7:5, 3:6, 1:6; ივანოვი — მერმურიანუ — 3:6, 6:3, 6:3, 4:6, 6:3; ლიხაჩოვი — მერმურიანუ — 6:1, 6:2, 2:6, 6:4. წყვილთა შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:4, 8:6, 6:3.

**ჭაბუკები**: კოროტკოვი — დრონი — 6:4, 5:7, 5:7; ვოლკოვი — მარკუ — 7:5, 6:4; კაკულია — დრონი — 6:4, 4:6, 2:6; ვოლკოვი—მურეშანი — 6:2, 4:6, 6:3. კოროტკოვისა და ვოლკოვის წყვილმა შეხვედრა წააგო — 6:8, 6:3, 6:4, 2:6, 1:6.

## „თალლითი" — კინომსახიობი

### ისევ ოქროს ქალღმერთის შესახებ

მართალია, ხსოფლიოს უმაღლესი საფეხბურთო პრიზი — გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ოქროს გამოსახულება დიდ ხანს არ იყო ქურდების ხელთ, მაგრამ მისმა გატაცებამ მაინც სერიოზულად შეაშფოთა საფეხბურთო სამყარო. ახლა ეს ვნებათაღელვანი დამცხრალია: ოქროს ქალღმერთი დაუბრუნდა უხიფათო ადგილს სეიფში დღის წესრიგში დადგა სხვა საკითხი: ბიზნესი. უბრალო ეზოს ძაღლს — „თალლითს", რომელმაც მოძებნა ეს ძვირფასი პრიზი, იღებენ ფილმში, რომლის სცენარი სპეციალურად იქნა გადაკეთებული.

მოწმეები ცხადყოფენ, რომ პრიზის მომძებნი ძაღლისადმი მიძღვნილ საგანგებო საზეიმო ცერემონიალზე იგი ერთობ გულგრილად იყო განწყობილი და გამოცოცხლდა მხოლოდ მაშინ, როცა სადღესასწაულოდ გამოწყობილმა ოფიციანტებმა მას ვერცხლის ლანგარზე მიართვეს სამეფო ბიფშტექსი. რაც შეეხება მის პატრონს, ნავსადგურის მუშას დევიდ კორბეტს, მან მიიღო დაპირებული ჯილდოს ნახევარი — 3 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი — ფ ე ხ ბ უ რ თ ი

## პასკუტიმ დაბრუნება აღნიშნა

იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრაში „ბოლონიასა" და ბერგამოს „ატალანტას" შორის ბოლონიელთა რიგებში კვლავ გამოჩნდა მარცხენა გარემარბი პასკუტი (იგი თვეზე მეტს არ თამაშობდა ავადმყოფობის გამო). პასკუტი მინდორზე საუკეთესო იყო და 2 გოლიც გაიტანა. მესამე გოლის ავტორია ტურა — 3:0. „ბოლონიამ" გაიმარჯვა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

მილანის „ინტერნაციონალემ" მოუგო ფერარის „სპალს" — 2:1.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ლანეროსი" — „ნაპოლი" 2:0, „კალიარი" — „კატანია" 3:1, „ფოჯა" — „ფიორენტინა" — 0:0, „ბრეშია" — „ტორინო" 2:1, „იუვენტუსი" — „ლაციო" 0:0, „რომა" — „მილანი" 1:0, „ვარეზე" — „სამპდორია" 1:2.

აი, ლიდერთა ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე" | 28 | 60:20 | 44 |
| „ბოლონია" | 28 | 53:32 | 38 |
| „ნაპოლი" | 28 | 35:21 | 37 |
| „იუვენტუსი" | 28 | 28:16 | 35 |
| „მილანი" | 28 | 36:27 | 33 |

(საქ. ინფ.).



პორტუგალიის II ლიგის ფეხბურთელთა გუნდების „კოვა და პიედადესა" და „ალმადას" მატჩის დროს მინდორზე უეფით გამოვარდა ორი ძაღლი, რომლებმაც ფეხბურთელებს ყურადღება არ მიაქციეს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს. „კოვა და პიედადეს" მეკარემ ჟოაო გომესმა ბოლო მოუღო მათ შეტაკებას და ორივე ძაღლი მინდვრიდან გაიყვანა.

მამაცმა მეკარემ გაავთრებული ორი ძაღლის გაძევება კი შეძლო, მაგრამ ამას იქნებ აჯობებდა, რომ გომესს საკუთარ კარში ორი გოლი არ გაეშვა?! მისი გუნდი ხომ სწორედ ასე დამარცხდა — 0:2.

ს უ რ ა თ ზ ე: ჟ. გომესს მინდვრიდან გაჰყავს ერთ-ერთი მოჩხუბარი.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ხელბურთი.** სპორტის სასახლე. **13-14 აპრილი. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი.** დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 19 ს. **სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები — საქართველოს ნაკრები,** 20 ს. 30 წ. **სსრ კავშირი — დანია.**

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. **15 აპრილი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

## მძლეოსნური სტარტები

**ნიუ-იორკი,** 11 აპრილი. **სახელგანთქმულ „მძლეოსნურ" ქალაქ უოლნატში (კალიფორნიის შტატი) გამართული პირველი დიდი შეჯიბრება თავისებური რეკორდით აღინიშნა: მძლეოსნობის ისტორიაში პირველად ერთბაშად სამმა ჭოკით მხტომელმა დასძლია 520 სმ სიმაღლე. 2 მათგანის სახელები კარგადაა ცნობილი — ესენი არიან დახურული დარბაზებისთვის მსოფლიო მიღწევის ავტორი რობერტ სიგრენი და მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ჯონ პენელი. მესამე სულ ახალგაზრდა სპორტსმენი გახლავთ — რობერტ კირკი. ბატონ-რუჟში (ლუიზიანას შტატი) ამერიკელმა ვილი დავენპორტმა გაიმეორა მსოფლიო მიღწევა 120 იარდზე თარჯრბენში — 13,2 წამი. როგორც ცნობილია, ეს ბრწყინვალე დრო 1959 წელს აჩვენა დავენპორტის თანამემამულემ ლი კელჰაუნმა.**

**ბლუმფონტეინი** (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), 11 აპრილი. **ტოკიოს ოლიმპიადის „ოქროს" მფლობელმა, უელსელმა სტუდენტმა ლინ დევისმა 3 დღის განმავლობაში მეორედ გააუმჯობესა დიდი ბრიტანეთის რეკორდი სიგრძეზე ხტომაში. დევისის შედეგი — 818 სმ — ყველაზე „გრძელია" წლეულს დიასტადიონებზე.**

**რომი,** 11 აპრილი. **საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს ჯვრ-მუნჯთა საერთაშორისო კროსი, რომელიც პატარა იტალიურ ქალაქ ირიში გაიმართა. ვ. სოლოვიოვამ 1000 მეტრი გაირბინა 4 წუთსა და 8,2 წამში. 6.000-მეტრიან დისტანციაზე საუკეთესო იყო ა. ბოიცოვი — 20.07,2. კროსში მონაწილეობდნენ 25 ქვეყნის მძლეოსნები.**

**პორტ-ოფ-სპეინი,** 11 აპრილი. **ტრინიდადის კუნძულის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებაში ამ კუნძულის ჩემპიონმა ედვინ რობერტსმა სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა 100 მეტრზე რბენაში — 10,1 წამი.**



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო—8-95-30, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04917